



საჯარო სამართლის იურიდიული პირის
წამლის სააგენტოს უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA031595386623819

№ 15-1054/თ

22 / ივლისი / 2019 წ.

**ფარმაკოლოგიური საშუალებათა კლინიკური კვლევის ნებართვის მისაღებად
შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ**

„ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის № 335 დადგენილების დანართი № 1-ის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წამლის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის №01-61/ნ ბრძანების დანართის მე-5 მუხლის „ნ“ პუნქტის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) ფარმაკოლოგიური საშუალებათა კლინიკური კვლევის ნებართვის მისაღებად სააპლიკაციო ფორმა (დანართი N1);


ბ) კლინიკური კვლევის სპონსორის მიერ ნებართვის მაძიებელზე გაცემული დელეგირების წერილის ფორმა (დანართი N2);

2. უზრუნველყოფილ იქნას ბრძანებით დამტკიცებული ფორმების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (drugagency.moh.gov.ge) გამოქვეყნება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს უფროსის მოადგილეს, თ. ჯიქიას.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ქეთევან ნიკოლიშვილი